

ცისკენ მიმავალი „ნაფეხურები“ (ნინა ნეკერის პოეზიის შესახებ)

გოგიაშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიDOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.27>

აბსტრაქტი. ნინო ნეკერიშვილის (ფსევდონიმით ნინა ნეკერი) პირველი პოეტური კრებული დაიბეჭდა 2011 წელს, გამომცემლობა „კალმოსანში“, ჩემი რედაქტორობით. ნინას თარგმანებიც ცნობილია მკითხველისთვის, ესენია: ჯონ ბოინის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“, კასანდრა კლერის „მექანიკური პრინცესა“ და „ზეციური ცეცხლის ქალაქი“.

ნაშრომში შევეცდები, განვიხილო ნინა ნეკერის ლექსები, როგორც შინაარსის, ასევე, ფორმის თვალსაზრისით. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ მისი სტრიქონი თავისუფლების მაღალი ხარისხით გამოირჩევა; ავტორი ექსპერიმენტატორია და მუდმივ ლიტერატურულ ძიებაშია.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ხანდახან მწერალი არ ჰგავს თავის ტექსტს, პირიქით, მისი სრული ანტიპოდაა. ნინა ნეკერის შემთხვევაში, პოეტი-პოეზიის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ასე ვიტყოდი: ნინას პოეზია მისი პიროვნების ლიტერატურული განსხეულებაა, ხოლო თვით ნინა - თავისი პოეზიის ზუსტი ასლი. მისი ლექსი ისეთივე თამამი, აზრიანი და მომხიბვლელია, როგორც თავად ავტორი. მისი ლექსების ლირიკული გმირი თვითრეფლექსიას ახდენს და საკუთარ თავში რწმენა-ურწმუნოებისა და ცოდვა-უცოდველობის პოლარულ კონცეპტებს განიხილავს; აკრძალული ხის სამოთხისეული სიმბოლო-ალუზია, ყოველივე ტაბუდადებულისადმი ადამიანური ბუნებით დეტერმინირებულ ინტერესს აღნიშნავს. ლირიკული გმირი საუბრობს იმ ნახევრად განსაზღვრულ მდგომარეობაზე, რომელიც ინფანტილური პერსონის მახასიათებელია და მნიშვნელოვან შინაგან გაორებასა და ტანჯვას იწვევს. პოეტი უკან არ იხევს, რათა გამოხატოს ყველაზე იჭენეული, დაფარული და აუღიარებელი ადამიანური გრძნობები. ის იმდენად ავთენტური და თამამია, რომ თავისი სტიქონის გარეთ არანაირი სხვა ამონახსენისა და ფანტაზიის საშუალებას არ აძლევს მკითხველს. მისი ყველა გზავნილი მკაფიოა, გაურანდავი და მძიმე. ლექსში „ეკიპაჟელი“ პოეტი ეხმაურება უოლტ დისნეის გახმაურებული კინოს „კარიბის ზღვის მეკობრეები“ პერსონაჟს - მეკობრე ჯეკ ბელურას, თანამოაზრობას უცხდებს და მის ეკიპაჟს უერთდება:

ნინა ნეკერის „ლაკონურად“ აქცენტური ლექსის ძალიან კარგი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლექსი, თავისი ბუნებით, სილაბური ან სილაბურ-ტონურია, ხოლო აქცენტური ლექსი, გამომდინარე ქართული უმახვილო ენის სპეციფიკიდან, არ არის ორგანული ჩვენი პოეზიისთვის, ნინა ნეკერი საუცხოოდ ართმევს თავს ამ გამოწვევას. ლექსის სტრიქონებში სილაბურობა დარღვეულია, რიტმულობა კი მთლიანად აქცენტური მახვილების შეგრძნების ხარჯზე ნარჩუნდება. მოცემული ლექსი ანჟამბამანის მკაფიო მაგალითიცაა, ხოლო სტრიქონებზე გარდამავალი წინადადებები ექსკლუზიურ სტრუქტურას აყალიბებენ:

ნინა ნეკერის პოეზიაში შერწყმულია ბრძოლის ჟინი, სიმამაცე და ლიტერატურულ ხულიგნობამდე მისული გამბედაობა, დიდ ქალურ ვნებებსა და ემოციებთან. ის მიმდინარე ქართული პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო და ნიჭიერი წარმომადგენელია.

საკვანძო სიტყვები: ნინა, ნეკერი, პოეზია, ქართული, ნაფეხურები.

ნაშრომის დასაწყისიდანვე ვუთანხმდები მკითხველს, რომ ნინა ნეკერის შესახებ წარსულ დროში არ ვისაუბრებ; მიზეზი ორგანია: 1. ნინა ნეკერი პოეტია და, როგორც ყველა პოეტს, მეტაფორულად, დრო-ჟამის ფრინველი დატყვევებული ჰყავს, ანუ მისი მყოფობა არ ემორჩილება ჟამთასვლას; 2. ნინა ნეკერი ჩემი მეგობარია, მეგობრობა კი სიყვარულის მარადიული გამოვლინებაა.

ნინო ნეკერიშვილის (ფსევდონიმით ნინა ნეკერი) პირველი პოეტური კრებული დაიბეჭდა 2011 წელს, გამომცემლობა „კალმოსანში“, ჩემი რედაქტორობით. გამომდინარე იქიდან, რომ მე ყოველთვის ძალიან მომწონდა მისი ლექსები, ავტორს სიამოვნებით დავთანხმდი წიგნის რედაქტორობაზე. ნინას თარგმანებიც ცნობილია მკითხველისთვის, ესენია: ჯონ ბოინის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“, კასანდრა კლერის „მექანიკური პრინცესა“ და „ზეციური ცეცხლის ქალაქი“.

მოცემულ მოხსენებაში, შევეცდები, განვიხილო ნინა ნეკერის ლექსები, როგორც შინაარსის, ასევე, ფორმის თვალსაზრისით. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ მისი სტრიქონი თავისუფლების მაღალი ხარისხით გამოირჩევა; ავტორი ექსპერიმენტატორია და მუდმივ ლიტერატურულ ძიებაშია. ხანდახან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის მთელი თავისი არსებითაა გადაშვებული სიახლეთა პერმანენტულ მოხელთებასა და მონაპოვრის მკითხველისთვის წარდგენის პროცესში; წარდგენის ფორმა, კი, ხშირად, მოულოდნელი, იმპოზანტური და მოურიდებელიც კია. განვიხილავ ნინას ლექსს „ლაკონურად“, რომელიც მართლაც იმდენად ლაკონურია, რომ სრული სახით შემიძლია წარვადგინო მოცემულ ფორმატში:

„ელექტრო ცივინათელებით
კაბაუმოწყალოდდანაჩრჩილი
ღამე ქურდია, - მოიპარა
ქუჩას შერჩენილი შენი ჩრდილი.

სიტყვებიც ახლა უსულოა,
როგორც ხელოვნური ლოკონები.
თვალეში აღარ გიყურებ და...
ასე გიბრაზდები -
ლაკონურად“ (ნეკერი, 2011, გვ.5).

ნინა ნეკერის „ლაკონურად“ აქცენტური ლექსის ძალიან კარგი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლექსი, თავისი ბუნებით, სილაბური ან სილაბურ-ტონურია, ხოლო აქცენტური ლექსი, გამომდინარე ქართული უმახვილო ენის სპეციფიკიდან, არ არის ორგანული ჩვენი პოეზიისთვის, ნინა ნეკერი საუცხოოდ ართმევს თავს ამ გამოწვევას. ლექსის სტრიქონებში სილაბურობა დარღვეულია, რიტმულობა კი მთლიანად აქცენტური მახვილების შეგრძნების ხარჯზე ნარჩუნდება. მოცემული ლექსი ანჟამბამანის მკაფიო მაგალითიცაა, ხოლო სტრიქონებზე გარდამავალი წინადადებები ექსკლუზიურ სტრუქტურას აყალიბებებენ; მაგალითად, ლექსის ერთი დამოუკიდებელი სტრიქონი ერთი სიტყვისგან შედგება, რომელიც ავტორის პოეტური ნეოლოგიზმია - კაბაუმოწყალოდდანაჩრჩილი. ეს სიტყვა ღამის ეპითეტია, რომელიც ქურდია და ჩრდილს იპარავს. ნინა ნეკერის არაორდინალური და ძალიან საინტერესო ტროპული მეტყველება, ლექსის ექსპერიმენტულ სტრუქტურასთან სიმბიოზში, ქმნის მის ორიგინალურ პოეზიას, რომელიც არავისას ჰგავს.

ნაშრომში, ყურადღება მინდა გავამახვილო ნინა ნეკერის ლექსის არქიტექტონიკაზე. ლექსის „ავატარი“ თითოეული სტრიქონი ათმარცვლიანი საზომითაა დაწერილი (2/4/4) და სილაბურ-ტონური ლექსის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. 9 მარცვლიანი სტრიქონითაა წარმოდგენილი ლექსი „სიმღერა“ (2/4/3), ხოლო ლექსი „მე - წვიმაში“, 12 მარცვლიანი სტრიქონით (6/6), რიტმული თვალსაზრისით, საკმაოდ ორიგინალურად ჟღერს. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან იკვეთება, ნინა მუდმივად ძიების პროცესშია, ფორმის თვალსაზრისითაც, და ყოველ მომდევნო ჯერზე, ახალი სალექსო სტრუქტურის მოხელთების პროცესშია.

მისი სტილის აღსაწერად, აუცილებლად აღსანიშნავია სიტყვათქმნადობისაკენ - პოეტური ნეოლოგიზმებისაკენ სწრაფვა. მაგალითად: პირველოჯახი. ნინას საინტერესო პოეტური ექსპერიმენტია ქართული სიტყვისა და ინგლისური ფრაზის დაბოლოების ჯვარედინ რითმად წარმოდგენა კონვენციურ ათმარცვლიან ლექსში „წარწერა“:

„შემონახული ფეხბურთელივით
ცვლის ღამეს დილა მწვანე მინდორზე.
და ავტოგრაფად ვტოვებ ფოტოზე:
„The man, whom I can't adore like that“... (ნეკერი, 2011, გვ.37).

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ხანდახან მწერალი არ ჰგავს თავის ტექსტს, პირიქით, მისი სრული ანტიპოდაა. ნინა ნეკერის შემთხვევაში, პოეტი-პოეზიის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ასე ვიტყვოდი: ნინას პოეზია მისი პიროვნების ლიტერატურული განსხეულებაა, ხოლო თვით ნინა - თავისი პოეზიის ზუსტი ასლი. მისი ლექსი ისეთივე თამამი, აზრიანი და მომხიბვლელია, როგორც თავად ავტორი. ლექსში „პულის“ ვკითხულობთ:

„რა სიცოცხლეა, აკრძალულს თუ ჩაუვლი ნაყოფს
და, თუნდაც გულში, გემრიელად არ შეაგინებ
შენს რწმენას, უცდუნებლობისთვის არასდროს სამყოფს,
შენს ურწმუნობას, სანახევროდ რომ რეაგირებს
და, მაინც, სადღაც, გულისგულში ვერ ცდება საზღვრებს“... (ნეკერი, 2011, გვ.57).

ლექსის ლირიკული გმირი თვითრეფლექსიას ახდენს და საკუთარ თავში რწმენა-ურწმუნოებისა და ცოდვა-უცოდველობის პოლარულ კონცეპტებს განიხილავს; აკრძალული ხის სამოთხისეული სიმბოლო-ალუზია, ყოველივე ტაბუდადებულიადმი ადამიანური ბუნებით დეტერმინირებულ ინტერესს აღნიშნავს. ლირიკული გმირი საუბრობს იმ ნახევრად განსაზღვრულ მდგომარეობაზე, რომელიც ინფანტილური პერსონის მახასიათებელია და მნიშვნელოვან შინაგან გაორებასა და ტანჯვას იწვევს. პოეტი უკან არ იხევს, რათა გამოხატოს ყველაზე იჭვნეული, დაფარული და აუღიარებელი ადამიანური გრძნობები. ის იმდენად ავთენტური და თამამია, რომ თავისი სტიქონის გარეთ არანაირი სხვა ამონახსენისა და ფანტაზიის საშუალებას არ აძლევს მკითხველს. მისი ყველა გზავნილი მკაფიოა, გაურანდავი და ძლიერი. ლექსში „ეკიპაჟელი“ პოეტი ეხმიანება ცნობილი კინოს „კარიბის ზღვის მეკობრეები“ პერსონაჟს - მეკობრე ჯეკ ბელურას, თანამოაზრეობას უცხდებს და მის ეკიპაჟს უერთდება:

„დაარტყი ხელი, ჯეკ-ბელურა, ხელი დაარტყი
და მომილოცე ეკიპაჟში შემომატება.
ნაპირზე წოლა თეთრკანიან ქალთა საქმეა,
ჩვენ კი ქალივით დავეუფლოთ უნდა ზღვის სივრცეს,

ტრიუმში - რომი, თავზე - შლაპა, წინ - ჰორიზონტი“... (ნეკერი, 2011, გვ.58).

აჯანყებული ლირიკული გმირი დინების საწინააღმდეგოდ იწყებს ცურვას და მეტაფორულად მეკობრეების ეკიპაჟს უერთდება; ამგვარი პროტესტი, ცხოვრების უსამართლობით გამოწვეული უკმაყოფილებისა და, ამის გამო, მის წესებზე უარის თქმისა, ხშირი მოვლენაა ლიტერატურაში. მწერალი შემოქმედია და ქმნის ალტერნატიულ სამყაროს, სადაც საკუთარი უგულებელყოფილი, ჩახშობილი ნიჭებისა და მისწრაფებების რეალიზაციას ახდენს, ან - საპასუხო უკუგებას უბრუნებს ცხოვრებას. საუკეთესო პროტესტი იმ კანონების დარღვევაა, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია; მეკობრეობა აუტსაიდერებისა და აჯანყებულების ცნობილი თავშესაფარია, სწორედ ამიტომაც ის რომანტიზებული ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში. თავისუფლების მოპოვების წყურვილი იმდენად დიდია, ლირიკულ გმირს სურს, რომ ქალივით დაეუფლოს ზღვის სივრცეს; ანუ, მოცემულ კონტექსტში, ქრება გენდერული იდენტობა, ან - ამორძალივით მეზრძოლი და ძლევამოსილი ხდება ქალი:

„მარგალიტს წყალქვეშ, ქალს - ნაპირზე, თუ ადგილს ცაში

არ არიგებენ, მოპოვება სჭირდება ბრძოლით“... (ნეკერი, 2011, გვ. 58).

ნინა ნეკერის პოეზიაში შერწყმულია ბრძოლის ჟინი, სიმამაცე და ლიტერატურულ ხულიგნობამდე მისული გამბედაობა, დიდ ქალურ ვნებებსა და ემოციებთან. ლექსში „ალქაჯი“ მთელი სისავსითა და დრამატულობითაა ეს დაუხარჯავი პოტენციალი წარმოდგენილი. მას წინ უძღვის მიხეილ ბულგაკოვის ცნობილი რომანიდან „ოსტატი და მარგარიტა“ ნატაშას სიტყვები: „ძვირფასო მარგარიტა ნიკოლაევნა, სთხოვეთ, რომ ალქაჯად დამტოვონ“.

„ქალად დამაბრუნეთ, ეს ცეცხლი მწადა!“

ვედრებით თქვენსკენ გამოვიწვდი თხელ მაჯებს.

ჭიაკოკონობას არულის ძახილით

სულში გვაფურთხებენ ვნებიან ალქაჯებს“ (ნეკერი, 2011, გვ.30).

ყველაზე იდეალისტი ქალები, ხშირად, სიმბოლურ ალქაჯებად იქცევიან, ლილიტებივით გარბიან უღიმღამო ადამებისგან და შეკავებულ ვნებასა და ინსტინქტებს სუბლიმირების გზით სხვადასხვა ნიჭებად განფენენ გარემოში. თუმცა, ევოლუცია და მისი კანონები ურთიერთობის სხვა მოდელს სთავაზობს კაცობრიობას: ქალი უნდა იყოს მზია, კაცი კი - ზეზვა, რათა გამრავლდეს ადამიანთა მოდგმა. როგორც არტურ შოპენჰაუერის „სქესური სიყვარულის მეტაფიზიკაში“ ვკითხულობთ, ქალისა და მამაკაცის ლტოლვა, რომელიც სიყვარულის რომანტიკური ბურუსით იმოსება, სინამდვილეში, სხვა არაფერია, თუ არა მისი საბოლოო შედეგი - შთამომავლობა, „პირველი ჩანასახი“ მათ აღტაცებულ მზერაში. ქალი - ლილიტი და ალქაჯი, პატრიარქალური სოციუმის დევიანტია, და, შესაბამისად, კონვენციური ქცევის მოდელიდან ამოვარდნილი. ნინას ლექსში „ევოლუცია“ საოცარი ტროპებითა და სენსიტიურობითა აღწერილი ევოლუციურ ტრაფარეტს მისადაგებული წყვილის იდილია, რომელიც ბუნებითია:

„ჩემს წითურ თმაში გაიხლართე,

როგორც მახეში,

მსუნთქავ და გიპყრობს არომატი

ველური კენკრის,

და შენ - ტომების მზრძანებელი,

ჩვევაუხეში,

ჩემს ალერსს,
როგორც ჩიტი - მაყვალს,
მსუბუქად კენკავ“ (ნეკერი, 2011, გვ.50).

მის სხვა ლექსში „იდილია“ სწორედ იდეალური ურთიერთობის ფორმაა ასახული, სადაც, შოპენჰაუერის დოქტრინის თანახმად, შეყვარებული წყვილის უკვდავება შთამომავლობის სახით დასტურდება:

„ჩვენს პირველ ღამეს,
სარეცელთან ნაძვის ხეს მოვრთავ,
და ყოველი დღე,
შუშის ფერად ბურთს ემსგავსება...
ერთი თუ გატყდა,
სხვა ბურთები დარჩება ტოტზე,
ჩვენც ხომ არ ვკვდებით,
ჩვენაცვლდებით მხოლოდ, ბავშვებით“... (ნეკერი, 2011, გვ.53)

ნინა ნეკერი, როგორც პოეტების უმრავლესობა, ფოლკლორის მიმართ გულგრილი არ არის. მისი ლექსი „ნიკორა“ სწორედ ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟს ემდვნება, ხოლო ლექსში „დავცარიელდი“ წერს: „ჩვენ“... არასოდეს ვამართლებდით ამ სახელს ორნი,/ცალკე ჭირი და ლხინი გვქონდა მუდამ მე და შენ“ (ნეკერი, 2011, გვ.38). მოცემულ სტრიქონებში ტრადიციული ზღაპრის შაბლონური დასასრულია დეკონსტრუირებული და ახალ ტექსტში ჩასმული, როგორც ერთი პოსტმოდერნისტული ნიშანი. ლექსი „ოქროს ხელების ამბავი“ მთლიანად ზღაპრულ ნარატივზეა აგებული; შესაძლებელია ვთქვათ, რომ ეს ახალი ლიტერატურული ზღაპარია, სალექსო ფორმით დაწერილი, დრამატულ-ეგზისტენციალური ფინალით:

„ჰეი, სადა ხარ, ბერიკაცო,
საით წახვედი, ბერიკაცო,
რად გამიჯავრდი, ბერიკაცო,
გევედრები, ერთხელაც მოდი,
დამიბრუნე ჩემი ძონძები“... (ნეკერი, 2011, გვ.47).

ნინა, თავის პოეზიაში მკაფიოდ გამოხატავს ხედვას საზოგადოების მიმართ და აპროტესტებს არსებულ მოცემულობას. ლექსში „პოლიტიკა“ შეულამაზებლადაა მხილებული ნეგატიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ხალხის ყოფის ხარისხზე: „რომ ყავარზე თუკი ერთხელ შეინებივრა კუდმა,/ვირი - თუნდაც მშობელს ეჯდეს ზურგზე, აღარ ჩამოდის!“ (ნეკერი, 2011, გვ.27) ლექსში „საზოგადოება“! კი დაუფარავ ბრაზსა და აგესიას ავლენს პოეტი:

„რამდენჯერ დავრწმუნდი, - ნაჭუჭში
სწრაფად ვიკეტები, მარდი ვარ,
მძულხარ, სა-ზო-გა-დო-ე-ბავ! –
მაგრამ შენს ჭკუაზე დავდივარ!“ (ნეკერი, 2011, გვ.39)

მიუხედავად ყველაფრისა, ნინა ნეკერისთვის საქართველო მართლაც ხატია, და მისი ლექსი „ტაოს დატირება“ ამ მოსაზრების დადასტურებაა. ლიტერატურაში პატრიოტიზმი ის თემაა, რომელიც ძალიან მოქნილად უნდა გადალახო, რომ ყალბი პათეტიკის სახე არ მიიღოს; ნინა ნეკერი ამ წინააღმდეგობას თავს ართმევს წარმატებით:

„ტაოვ, უნდა დაგიტირო,
როგორც გაყიდული ბაღლი,
შვილიც ვარ და დედაც მქვია,

დედაშვილურ ცრემლად დაგღვრი“... (ნეკერი, 2011, გვ.75)

პოეტის ტროპული მეტყველების ექსკლუზიურობა მოცემული მაგალითებითაც შეგვიძლია დავადასტუროთ: „მთვარე- ლექსსუსტი პოეტების ქოსა მრჩეველი“ ან „წოლით რეჟიმში რჩება ჯერაც მზე, ბავშვივით რომ ახველებს“.

ნინა ნეკერის პოეზია, მიუხედავად რთული თემებისა და საკითხებისა, სიმსუბუქით, სილადით და იუმორით გამოირჩევა. ამის ნათელი მაგალითებია ლექსები „მოდა“ და „ურეკი“, რომლებიც „სალაღობოს“ სტატუსითაა აღნიშნული; ასევე, ლექსი „ავტობიარი“, რომელსაც წამმღვარებული აქვს სიტყვები: „თვითთრონიული ლექსი „სალაღობოდ, სააშიკოდ, ამხანაგთა სათრეველად“...

„ო.შ.მ? არა, ლ.შ.მ-სთვის
რაც „ლექსის შექმნად“
გაიშიფრება,
თუ დაფიქრდა ადამიანი,
გამოვაცხადებ:
ვინაიდან არ იყიდება
წინდაც კი,

თუკი არ ექნება წინდას პიარი“. (ნეკერი, 2011, გვ.72)

ნინა ნეკერის, როგორც ნიჭიერი, საინტერესო, ორიგინალური პოეტის შესახებ, ბევრის დაწერაა შესაძლებელი. თუნდაც მხოლოდ მოცემული მოკრძალებული სტატიიდან ცხადად ჩანს, რომ მან საკუთარი ადგილი მონიშნა მიმდინარე ქართულ პოეზიაში და ნათელი, ცისკენ მიმავალი „ნაფეხურები“ დატოვა ჩვენს ხსოვნაში.

ლიტერატურა:

ნეკერი, ნ. (2011). ნაფეხურები. თბილისი: გამომცემლობა „კალმოსანი“.

Steps Toward the Sky: On Nina Nekerishvili's Poetry

Gogiashvili Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

*Nino Nekerishvili, known by her pseudonym Nina Nekerishvili, published her first poetry collection in 2011 under the publishing house "Kalmosani," with me as the editor. Since I had always greatly admired her poems, I was pleased to take on the role of editing the book. Nina is also recognized for her translations, which include John Boyne's *The Boy in the Striped Pajamas* and Cassandra Clare's *The Clockwork Princess* and *The City of Heavenly Fire*.*

In this paper, I aim to explore Nina Nekerishvili's poetry from both content and form perspectives. From the outset, it is clear that her verses are characterized by a high degree of freedom; she is an experimentalist, constantly engaged in literary exploration. At times, it feels as though she is entirely devoted to capturing the essence of perpetual novelty and presenting it to her readers. The manner of this presentation is often unexpected, imposing and unapologetic.

It is worth noting that sometimes an author may not resemble their work and, instead, can appear as its complete opposite. In Nina Nekerishvili's case, however, the resemblance between poet and poetry is so striking that one could say: Nina's poetry is the literary embodiment of her personality and Nina herself is the exact reflection of her poetry. Her verses are as bold, profound and captivating as the poet herself.

The lyrical persona in her poems engages in self-reflection, contemplating the polar concepts of faith and doubt, sin and innocence. The symbolic allusion to the forbidden tree of paradise signifies humanity's innate curiosity about all that is taboo. The lyrical hero speaks of a semi-defined state, characteristic of an immature person, which results in profound inner conflict and anguish. The poet does not shy away from expressing the most doubtful, hidden and unacknowledged human emotions. She is so authentic and bold that she allows no alternative interpretations or fantasies outside her verses. Every message she conveys is clear, unembellished and impactful.

*In her poem *The Crew Member*, the poet references the famous character Captain Jack Sparrow from Walt Disney's *Pirates of the Caribbean*, expressing solidarity with him and joining his crew.*

*Nina Nekerishvili's work *Laconically* serves as an excellent example of accentual verse. Although Georgian poetry is traditionally syllabic or syllabic-tonic in nature, and accentual verse is not organically suited to the Georgian language due to its lack of stress, Nina masterfully handles this challenge. The syllabic structure of her lines is broken, yet rhythm is maintained entirely through a sense of stress and accentuation. This poem is also a clear example of enjambment, with sentences flowing seamlessly across lines, creating an exclusive structure.*

Nina Nekerishvili's poetry combines a fighting spirit, courage, and daring that borders on literary audacity, blended with deeply feminine passions and emotions. She stands out as one of the most intriguing and talented representatives of contemporary Georgian poetry.

Keywords: *Nina, Nekerishvili, Poetry, Georgian, Steps.*